

ღამე!

შეყვარებულების, პოეტებისა და მომღერლების ღამე!

ჩვენების, სულებისა და წარმოსახვების ღამე!

უნების, სიყვარულისა და მოგონებების ღამე!

მზის ჩასვლის ღრუბლების ჯუჯებსა და განთიადის პატარძლებს შორის მდგარო ტირანო, შიშის ხმალი რომ მოგიმარჯვია, მთვარე გვირგვინად დაგიდგამს, სინუმის სამოსი მოგიხვევია, ათასი თვალით მიშტერებისარ ცხოვრების სიღრმეებს, ათასი ყურით უყურადებ სიკვდილისა თუ არყოფნის კენესას.

შენ სიბნელე ხარ, ცის შუქს რომ დაგვანახებს, დღე კი – სინათლე, მიწის სიბნელეში რომ გვიძირავს.

შენ იმედი ხარ, გონებას რომ გვიხსნი უსასრულობის დიდებულების წინაშე, დღე კი მატყუარაა – საზომებისა და ოდენობის სამყაროში გვაძყოფებს, როგორც ბრძებს.

შენ სიმშვიდე ხარ, თავისი მდუმარებით ზეციურ სივრცეში ყველა სხვა ფხიზელი სულის საიდუმლოებას რომ აღმოაჩენს. დღე ხმაურია, ფაცაფუცით რომ აღელვებს სურვილებითა და მიზნებით გართულთა სულებს.

შენ სამართლიანი ხარ. კეთილშობილების პინებზე სუსტთა ოცნებებსა და ძლიერთა სურვილებს აგროვებს. თანამგრძობი ხარ. უჩინარი თითებით უბედურთ ქუთუთოებს უხურავ, მათი გულები კი ამქვეყნიურზე ნაკლებად სასტიკ სამყაროში მიგყავს.

შენი ღურჯი სამოსის ნაკეცებს შორის გულს იჯერებენ შეყვარებულები, ნამის წვეთებით დაცვარულ ფეხებზე ცრემლს დაგადენენ მარტოსულები. მინდვრის სურნელით გაჟღენთილ შენს ხელისგულებში სიყვარულის და სინანულის ოხვრას ჩაკარგავენ უცნობები. შენ ხომ შეყვარებულთა თანამეინახე, მარტოსულებთან მოსაუბრე, უცხოტომელთა და ყარიბთა მეგზური ხარ.

შენს სიბნელეში აღწევენ პოეტთა გრძნობები, შენს მხრებზე ფხიზლობენ წინასწარმეტყველთა გულები. ნაწნავებს შორის გაგიელვებენ მოაზროვნეთა ტვინები. პოეტების გზის მაჩვენებელი, წინასწარმეტყველთა სულის შთამბერავი, ჩაფიქრებულებისა და მჭვრეტელების შთამაგონებელი ხარ.

როცა ჩემს სულს ადამიანები მოყირჭდა, როცა თვალები ცეცხლის სახეში ყურებით გადამეღალა, იმ მოშორებულ მინდვრებს მივაშურე, სადაც წარსულის ჩვენებებს სძინავთ.

იქ დავდექი უბნელესი, გაყინული, აცახცახებული არსების წინ, რომელიც დაბლობზე, მთებსა და მდელოებზე ათასი ფეხით დააბიჯებს.

იქიდან მიმოვაგლე ყველაფერს შთაგონებული თვალი, უხილავი ფრთების ფრთხილს მივაპყარი ყური იმ პოეტით, სინუმის სამოსელს რომ შეხებია და მედგრად დამდგარა სიბნელის საფრთხის წინაშე.

იქ დაგინახე, ღამე, უზარმაზარი, ღამაში ჩვენებასავით, მიწასა და ცას შორის აღმართული, ღრუბლებით მოსილი, წელზე ნისლშემორტყმული. შენ მზესაც დასცინი და დღესაც. იმ მონებსაც იგდებ მასხრად, კერპების წინაშე რომ ათევენ ღამეს. ბრაზდები მეფეებზე, რომლებსაც აბრეშუმსა და ფარჩებში სძინავთ. გაოცებული მიშტერებისარ ქურდთა სახეებს, დარაჯად დგახარ წვრილშვილიანი ოჯახების სიახლოვეს, ტირი მებავების ღიმილზე და უღიმი შეყვარებულთა ტირილს. მარჯვენით აღამაღლებ დიდსულოვნებს და ფერხით დასცემ სულმოკლეთ.

იქ დაგინახე, ღამე, შენც დამინახე. შენი სიმკაცრით ჩემი მამა იყავი, მე კი ჩემი ოცნებებით ძე ვიყავი შენი. ჩვენ შორის წარმოსახვების ფარდა გადაიწია,

სახეებზე ფიქრისა და ვარაუდის საფარველი ნაკუწებად გვექცა. საიდუმლოება გამომხილვე, სურვილები და იმედი გაგანდე. ბოლოს შენი სისაშიშე ყვავილების ჩურჩულიდან უტკბილეს სიმღერებად, შენ მიმართ შიში კი ბელურების მშვიდ სიხარულზე მეტ მხიარულებად გადამექცა. ამიყვანე და მხრებზე შემისვი, ჩემს თვალებს ხედვა ასწავლე, ყურებს – მოსმენა, ტუჩებს – ლაპარაკი, გულს – სიყვარული იმისა, რაც ხალხს არ უყვარს, და სიძულვილი იმისა, რაც მათ არ სძულთ. თითის წვერებით შეეხე ჩემს ფიქრებს, რომელიც სწრაფ, მორაკრაკე მდინარედ გადმოინდა და დამტკნარი მცენარეები წალეკა. ჩემი სული შენს ბაგეებს ჩაეკონა, ალად აელვარდა და გამხმარი ნარგავები შთანთქა.

დაგიძეგობრდი ღამევ, შენი მსგავსიც კი გავხდი. შეგეჩვიე ისე, რომ ჩემი მისწრაფებები შენსას შეერია. შეგიყვარე ისე, რომ ჩემი არსება შენის მცირე ანარეკლად იქცა. საღამო ხანს სიყვარული მიმოაბნევს სულის სიბნელეში მოელვარე ვარსკვლავებს. დილით მათ აღელვებულ აზრები აკრეფენ. მთვარე სიზმრების პროცესით ხან ისე შემომეჭრება მოდარაჯე გულში, როგორც მოღრუბლულ სივრცეში, ხანაც ისე, როგორც სრულ სიცარიელეში. ფხიზელ სულში გამეფებული სიმშვიდე თავისი ლექსებით შეყვარებულთა საიდუმლოებას ხდის ფარადას. სულის ყოველი ნაწილი ღვთისმოსიშთა ლოცვების ექოს იმეორებს. თავს დამდგომია განთიადის საფარველი, რომელსაც მომაკვდავთა სიკვდილისწინა ამოხენეშა არღვევს, შემდეგ კი მეხოტბეთა სიმღერები ამთელებს.

მეც შენი მსგავსი ვარ, ღამევ. ნუთუ ხალხს ქედმაღლობად უნდა მიაჩნდეს ჩემი მცდელობა, შენ დაგემსგავსო მაშინ, როცა ისინი ნათელს ედრებიან, რომ ამით იტრაბახონ.

მე შენ გგავარ. ორივეს გვადანაშაულებენ იმაში, რაც ჩვენში არ არის.

შენ გგავარ ჩემი მისწრაფებებითა და სიზმრებით, ხასიათითა და სულიერი წყობით.

შენ გგავარ მიუხედავად იმისა, რომ საღამო თავის ოქროსფერ ღრუბლებს გვირგვინად არ მადგამს თავზე.

შენ გგავარ მიუხედავად იმისა, რომ დილა ვარდისფერი სხივებით არ მირთავს კაბის კალთებს.

შენ გგავარ მიუხედავად იმისა, რომ მთელი გალაქტიკა წელზე არ მაქვს შემოვლებული.

მშვიდი, აღელვებული, უკიდევანო და თამამი ღამე ვარ. ჩემს წყვილადს დასაბამი არა აქვს და ჩემს სიღრმეს – ზღვარი, და თუ ამაყი სულები თავიანთი სიხარულის სინათლისკენ არ მიიწევენ, ჩემი გახევებული სული ამაღლდება თავისივე სევდის წყვილით.

შენი მსგავსი ვარ, ღამევ! ჩემი დილა არ მოვა მანამ, სანამ ჩემი აღსასრულის დრო არ დადგება.

ჩემი ახლობლები დაიხოცნენ (დაიწერა შიმშილობის დღეებში)

ჩემი ახლობლები იმქვეყნად წავიდნენ. მე კი ცოცხალი ვარ, ეული და განმატოებული ვგლოვობ მათ.

საყვარელი ადამიანები გარდამეცვალნენ. დარჩენილი ცხოვრება არ მეყოფა მათ გამოსაგლოვად.

ძვირფასი ხალხი დაგვარგე. ჩემი სოფლის მადლობები ცრემლებმა და სისხლმა დაფარა. მე კი ვცოცხლობ, როგორც ვცოცხლობდი მაშინ, როცა ისინიც ცოცხლები იყვნენ, ცხოვრების მხრებზე მესხდნენ, სოფლის მადლობები კი მზის ნათელში ჩაძირულიყო.

ჩემი ახლობლები მშივრები დაიხოცნენ. ვინც შიმშილით არ მომკვდარა, განაჩენად ბასრი ხმალი ერგო. მე კი დავდივარ ამ შორეულ ქვეყანაში ბედნიერ, გახარებულ ხალხს შორის, რომლებიც მხიარულობენ, მაღიანად შეექცევიან, კარგ სასმელს სვამენ და ფაფუკ ლოგინებში იძინებენ, დღეებს შეჰხარაიან და ცხოვრებაც უცინის მათ.

ჩემი ახლობლები ყველაზე დამცირებული სიკვდილით გარდაიცვალნენ, მე კი კეთილდღეობასა და მშვიდობაში ვაგრძელებ ცხოვრებას. და ეს ტრაგედია ჩემი სულისთვის ნორმალური ხდება.

მათთან ერთად მეც რომ მეშინებოდა, მათსავით შეჭირვებული ვყოფილიყავი, ამ დღეებს უფრო ადვილად გადავიტანდი. გულს მომეშვებოდა, ჩემ თვალწინ წამომართული დამეები ნაკლებ საშინელი იქნებოდა, რადგან ვინც წერა-კითხვის უცოდინარია და ლტაკი, ის თან გრძნობს იმ უმაღლეს თანაგრძნობას, თავის გაწირვა რომ წარმოშობს, თან ამყოფს კიდევ საკუთარი თავით, რაკი იღუპება უდანაშაულო უდანაშაულოებთან ერთად.

მაგრამ მე არ ვარ ჩემი მოშინებულე, დევნილი ხალხის გვერდით სიკვდილის პროცესიაზე, საშინელი აღსასრულის დიდებისკენ რომ მიემართება. მე აქ ვარ – შვიდი ზღვის გადაღმა, ვცხოვრობ სიწყნარესა და სიმშვიდეში, გაჭირვებისა და განსაცდელისგან, დაზარალებულებისა და მსხვერპლისგან შორს. არ შემიძლია, ვიამაყო რამით, საკუთარი ცრემლებითაც კი.

რა უნდა უთხრას შორეულ ადგილებში გადასახლებულმა ადამიანმა თავის მოშინებულე ხალხს?

ნეტავ, რა სარგებლობის მომტანია პოეტის გლოვა და ოხვრა?!

ჩემი სოფლის ნიადაგზე ამოზრდილი პურის თავთავი რომ ვყოფილიყავი, ჩემი მარცვლებით ერთი მშიერი ბავშვი მაინც აირიდებდა სიკვდილის ხელს.

ჩემი სოფლის ბაღებში დამწიფებული ნაყოფი რომ ვყოფილიყავი, მშიერი ქალი მომწვევებდა და ჩამკბენდა.

ფრინველი რომ ვყოფილიყავი ჩემი სოფლის ჰაერში, მშიერი კაცი დამიჭერდა. ჩემი სხეულით თავის სხეულს საფლავის ჩრდილს ააცდენდა.

მაგრამ ვაი, რომ არც პურის თავთავი ვარ სირიის დაბლობებზე და არც მწიფე ნაყოფი ლიბანის ხეობებში. ეს ჩემი ჩუმი ტრაგედიაა, საზიზღარ, საცოდავ არამზადად რომ მაქცევს საკუთარი სულისა და დამეული ჩვენებების წინაშე.

ეს ის მშიერი ტანჯვაა, ენას რომ მიბამს და ხელებს მიბორკავს, მერე კი ძალის, სურვილისა და სამუშაოს გარეშე მამყოფებს.

მეუბნებიან: განა რა არის შენი ქვეყნის უბედურება მსოფლიო ტრაგედიასთან შედარებით?! რა არის ის ცრემლი და სისხლი შენს ქვეყანაში რომ დაიდვარა, სისხლის და ცრემლის იმ მდინარეებთან შედარებით, დღედაღამ რომ მოედინება დედამიწის ხეობებსა და დაბლობებზეო.

ღიახ, ასეა, მაგრამ ჩემი ქვეყნის უბედურება მუნჯია, დიდი ზომისაა და მასში იქედნეებისა და გველების თავებია გახლართული. ჩემი ქვეყნის უბედურება არის ტრაგედია ჰიმნებისა და სანახაობების გარეშე.

ჩემს ხალხს შური რომ ეძია ტირან მმართველებზე, ყველა ურჩი აჯანყებული ერთად რომ დახოცილიყო, ვიტყოდი, ეს სიკვდილი თავისუფლების გზაზე უფრო ღირსეულია, ვიდრე დანებებული ცხოვრება სხვის მორჩილებაში-მეთქი. ვინც მარადიულობას ხმალმომარჯვებული ჩაეხუტა, სახელი სიმართლის უკვდავებით უკვდავყო.

დედაჩემს ეროვნულ მოძრაობაში რომ მიეღო მონაწილეობა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბრძოლის ველზე დაცემულიყო, ვიტყოდი - ის ძლიერი ქარია, რომელიც თავისი ენერჯით მწვანე და გამხმარ ტოტებს ერთიანად ამტვრევს-მეთქი. სიკვდილი ქარიშხლის ტოტებქვეშ უფრო ღირსეულია, ვიდრე სიბერის იდაყვებს შორის.

მიწაც რომ შერყეულიყო და რომ ამოტრიალებულიყო ჩემი ქვეყანა, მტვერს რომ დაეფარა ახლობლები და საყვარელი ადამიანები, ვიტყოდი, ეს ის ფარული კანონებია, უხილავი ძალით მთელ კაცობრიობას რომ მართავს და უძღურები ვართ, ვეცადოთ მის საიდუმლოებებში წვდომას-მეთქი.

მაგრამ ჩემები არ დახოცილან აჯანყებულნი, არც მათთან მებრძოლები დაუხოცავთ და არც მიწისძვრას შეურყევია მათი ქვეყანა. ისინი გარდაიცვალნენ მორჩილებაში.

ჯვარზე აღესრულნენ ჩემი ახლობლები.

მათი ხელისგულები აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენაა გაჭიმული, მათი თვალები წყვილიადითაა მოცული.

დაიხოცნენ ჩუმი, უსიტყვოდ, რადგან კაცობრიობის ყურები დახშულია მათი ყვირილის გარეშეც.

დაიხოცნენ, რადგან მათ არ უყვარდათ მტრები, როგორც სუსტები და მშიშრები, და არ ეჯავრებოდათ მოყვარეები, როგორც უმადურები.

დაიხოცნენ, რადგან არ ყოფილან დამნაშავენი.

დაიხოცნენ, რადგან უსამართლოდ არ ექცეოდნენ სასტიკებს, უღმობლებს და უსამართლოებს.

დაიხოცნენ, რადგან არ იყვნენ შემგუებლები და ყველაფერზე თანახმანი.

შიმშილით დაიხოცნენ მიწაზე, საიდანაც რძე და თაფლი მოედინება.

დაიხოცნენ, რადგან შხამიანმა გველმა შთანთქა მთელი მათი საქონელი მინდვრებში და მთელი მათი სარჩო ბედელში.

დაიხოცნენ, რადგან გველის წიწილებმა დაგესლეს ჰაერი, რომელსაც ბრინჯის ორთქლი, ვარდისა და ჟასმინის სურნელი ავსებდა.

დაიხოცნენ ჩემი და თქვენი ახლობლები, სირიელებო, და რა შეგვიძლია გავაკეთოთ მათთვის, ვინც ჯერ ისევ ცოცხალია?

ჩვენი გოდება ვერ დაანაყრებს მათ, ვერც ჩვენი ცრემლებით მოიკლავენ წყურვილს. მაშ, რა გავაკეთოთ, რომ ვიხსნათ ისინი შიმშილისა და გაჭირვებისგან?

სკეპტიკოსებად, მერყეებად და იმ ზარმაცებად დავრჩეთ, უდიდეს უბედურებას ისე რომ უყურებენ, როგორც ცხოვრების უმნიშვნელო წვრილმანს?!

ჩემო სირიელო ძმაო, ის გრძნობა, რომელიც გიბიძგებს, რაიმე გაიღო შენი ცხოვრებიდან მისთვის, ვინც სიკვდილის პირასაა, მართლაც ერთადერთია, რაც ღირსს გაგხდის დღის სინათლისა და ღამის სიმშვიდის.

ერთი ღირჰემი, შენსკენ გამოწვდილ ცარიელ ხელში რომ ჩააგდებ, ის ოქროს მარცვალია, რომლითაც შენში არსებული ადამიანურობა კაცობრიობას გადაეცემა.

მუსიკა

ჩემი სულის საყვარელთან ახლოს დაგვჯექი, მისი საუბარი რომ მომესმინა. ყურს ვუგდებდი და სიტყვაც არ მითქვამს. მის ხმაში ვიგრძენი ძალა, რომელმაც გული ამიჩქროლა, ამიფორიაქა, შინაგანად დამანაწევრა. სული უსაზღვრო, უკიდევანო სივცეში სანავარდოდ გამიფრინდა, თითქოს მისთვის ხილული სამყარო – ოცნება, სხეული კი ვისწრო, დახუთული ციხე ყოფილიყოს.

უცნაური ხიბლი შეერია ჩემი შეყვარებულის ხმას და ამან ამაღელვა, გრძნობები წამომიშალა. ყურადღებას აღარ ვაქცევ მის საუბარს, რომელიც ზედმეტია თითქოს. მეც უტყვი გაგხდი.

ეს მუსიკაა, ხალხნო! სწორედ მას ვუსმენდი, როცა ჩემი შეყვარებული საუბრობდა – ზოგიერთი სიტყვების თქმისას ამოიხრებდა, ზოგჯერ კი იღიმებოდა. მუსიკა მესმოდა, წყვეტილი ფრაზებით ლაპარაკობდა თუ გაბმული წინადადებებით, ზოგჯერ სიტყვების ნახევარი მის ტუნებს შორის რჩებოდა.

სმენის თვალთ ადვიქვამდი შეყვარებულის გულის შთაბეჭდილებებს. ეს ხელს მიშლიდა, ნათქვამის არსი გამეგო. ყურადღება გრძნობებზე გადაამქონდა, განცდებზე, მუსიკაში ხორცშესხმულ სამშინველის ხმაზე.

ღიას, ასეა, რადგან მუსიკა სამშინველის ენაა, მელოდიები კი სასიამოვნო მობერვა, განცდების სიმებს რომ არხვეს. ის თითის წვერებით ფრთხილად უკაკუნებს გრძნობების კარებს, ადვიძებს მოგონებებს და ამჟღავნებს იმას, რაც წარსულში დამეებმა საიდუმლოდ შეინახეს.

ეს ის ნაზი ჰანგებია, რომელიც თუ ნაღვლიანია, წარმოსახვის ზედაპირზე სევდისა და მწუხარების მოგონებებს ამოატივტივებს, ხოლო თუ მხიარულია – სიხარულისა და ბედნიერების დროს.

ეს სევდიანი ბგერების ერთობლიობაა, რომელიც, როცა უსმენ, გაიძულეებს შეჩერდე, ნეკნებს ტკივილით აგივსებს და ჩვენებების სახით წარმოგიდგენს მძიმე განსაცდელს.

ეს მხიარული ჰანგების ერთობლიობაცაა, გულს რომ გიპყრობს, ამაყად და მხიარულად ცეკვავს შენ ნეკნებს შორის.

ეს მარტოსული სიმის ხმაცაა, საცოდავი ბგერა, სმენამდე ეთერში გაჭრილ ტალღებს რომ მოაქვთ. თვალებიდან წამოვა მწველი ცრემლი, რომელიც სატრფოსთან განშორების ტანჯვამ გამოიწვია, ან საწუთროს ეშვით მოყენებული ჭრილობის ტკივილმა.

იქნებ ბაგეებს შორის გაჩენილი ღიმილით გამოიხატა ის, რასაც ეწოდა ბედნიერება და სიხარული.

მუსიკა არის სუნთქვის სხეული, რომლის სულიც სამშინველია, ხოლო გონება – გული.

ადამიანს მუსიკა ზემოდან, შთაგონებით მიეცა. ის ყველა სხვა ენისგან განსხვავებული ენაა, რომელიც ერთ გულს უყვება, თუ რას განიცდის მეორე. ის გულების საუბარია. სიყვარულივითაა, რომლის გავლენას ყველა განიცდის. მისით უდაბნოში ბერბერები აღიღინდნენ, სასახლეებში მეფეებს გრძნობები წამოეშალათ. შვილმკვდარი დედაც მუსიკას ურევს თავის გლოვაში და ეს გლოვა დარდისგან გაქვავებულ გულს შვებას ანიჭებს. გახარებულმა მუსიკა თავის სიხარულთან ერთად მიმოაბნია და სიმღერად აქცია. სიმღერამ განსაცდელებით დამარცხებული გაამხნევა, როგორც მზემ მინდორში სხივებით გამოაცოცხლა ყველა ყვავილი.

მუსიკა ფარანივითაა – სამშინველის სიბნელეს განაგდებს, გულს ანათებს, მის სიღრმეებს გამოაჩენს. მელოდიები რეალური არსებების აჩრდილები ან

ცხოვრებისეული განცდების წარმოსახვები მგონია, სამშინველი კი – სარკე, რომელიც რეალობის პირისპირ დგას და ყველაფერს, რაც ხდება, აჩრდილებს და წარმოსახვების სახით ირეკლავს.

სამშინველი შეფასებებისა და ვარაუდების ქარიშხალში მოხვედრილი ნაზი ყვაილია. დილის ნიავი არხევს მას, ხოლო ცერის წვეთები – კისერს უგრესს. ასე ჩიტის ჭიკჭიკი აფხიზლებს ხოლმე ადამიანს და ისიც უსმენს, გრძნობს. მისი სათუთი გრძნობები ჩიტის ტკბილ ხმასთან ერთად შემოქმედის სიბრძნეს ადიდებს. ფრინველთ უღურტული ფიქრსაც აღუძრავს კაცს და ის საკუთარ თავს ეკითხება, თუ რითაა გარემოცული – რა უჩურჩულა, რა გაანდო ამ უმწეო ჩიტის სიმღერამ, ასე რომ აუთრთოლა გრძნობის სიმები? იქნებ გაუმხილა, რას იფარავენ პირველი წიგნები, რომელიც ადამიანს მიეცა. ჩიტს ეკითხება, რას უყვებიან მას მინდვრის ყვაილები, ხის ტოტები, რაზე ესაუბრება ნაკადულების რაკრაკი ან მისი თანამეინახე მთელი ბუნება, მაგრამ კაცს არ ძალუძს, გაიგოს ჩიტის პასუხი.

ადამიანმა არ იცის, რას ლაპარაკობს ჩიტი ხის ტოტებიდან, რაზე საუბრობენ კენჭებზე მორაკრაკე ნაკადული ან ნაპირთან მშვიდად, ნელა მოპარული ტალღები. ვერც იმას ხვდება, რას უყვება წვიმა, როცა ფოთლებზე ჩამოედინება, ან როცა ფანჯრის მინას უკაკუნებს თითების სათუთი შესებით. არ ესმის, რას ეუბნება ნიავი მინდვრის ყვაილებს, მაგრამ გრძნობს, რომ მისი გული ეთანხმება ამ ბგერათა ერთობლიობას. გულს ესმის მათი მნიშვნელობა – ხან აღფრთოვანდება, ხან ნაღველი შეიპყრობს. ბგერები ჩურჩულებენ იდუმალ ენაზე, რომელიც ღმერთმა სამყაროს შექმნამდე შექმნა. ადამიანის სამშინველს ბუნებასთან ხშირად უსაუბრია. თავად კი დგას ენაწართმეული, უხერხულად დაბნეული. შესაძლოა, ცრემლი საუბრობს ფრაზების ნაცვლად. ცრემლი ხომ საუკეთესო, ყველაზე ენამჭვერი თარჯიმანია.

მოდით, მეგობარო, ხსოვნის თეატრში გამოძევი, რომ გავიგოთ, რა იყო მუსიკა იმ ხალხებისთვის, რომლებიც უკვე აღარ არსებობენ; რა მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა მუსიკას კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ქალღეველები და ეგვიპტელები აღმერთებდნენ მას, ეთაყვანებოდნენ როგორც დიდ ღმერთს.

სპარსელები და ინდოელები მიიჩნევდნენ, რომ ის ღვთის სულია ადამიანებს შორის. ერთ-ერთი სპარსელი პოეტი ამბოდა: „მუსიკა იყო ქალწული, რომელიც ცაში ღმერთებს შორის ცხოვრობდა. მან შეიყვარა ადამიანი და მიწაზე დაეშვა. ეს რომ ღმერთებმა გაიგეს, გაბრაზდნენ და ძლიერი ქარი დაადევნეს ჰურიას. ქარმა ქალწული ჰაერში, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტა. თუმცა მისი სული არ მომკვდარა. ადამიანთა ყურებში დასახლდა.“

ერთ ინდოელ ბრძენკაცს უთქვამს: მუსიკის მომხიბვლელობა მიმყარებს იმედს, რომ მშვენიერი მარადისობა არსებობსო.

მუსიკა ძლიერ ღვთაებად ითვლებოდა ბერძნებსა და რომაელებს შორის. მის პატივსაცემად აგებდნენ დიდებულ ტაძრებს, რომელთა შესახებ დღესაც ვსაუბრობთ; მდიდრულ სამხსვერპლოებს, რომლებზეც საუკეთესო მსხვერპლი შეიწირებოდა და ყველაზე სურნელოვანი საკმეველი იკმეოდა. ამ ღვთაებას აპოლონს უწოდებდნენ. მას აღმართავდნენ ხოლმე გამართულად მდგარს ისე, თითქოს ტოტი ყოფილიყოს გამდინარე წყალზე. მარცხენა ხელში ეჭირა ბარბითი, მარჯვენა კი ინსტრუმენტის სიმებზე დაედო. მის დიდებულებაზე ზეაწეული თავი და შორს მიმართული მხერა მეტყველებდა, თითქოს ყველაფრის არსს სწვდებო.

ამბობდნენ, აპოლონის ბარბითის სიმების ჟღერადობა ბუნების ხმის ექოაო. მას ნაღვლიანი მელოდიები ჩიტების ჟღურტულისგან, ნიაგის სუნთქვისგან და ხეების შრიალისგან აელო.

რომაელთა და ბერძენთა ლეგენდებში მოთხრობილია, რომ ორფეოსის ბარბითის სიმების ჟღერადობა ცხოველების გულსაც ათრთოლებდა და ისინი მიჰყვებოდნენ ამ ხმას. ყვავილები ყელს იწვდიდნენ მისკენ, ხეები კი ტოტებს ხრიდნენ. ქვები იძვროდნენ და იმსხვრეოდნენ.

ამბობენ, ორფეოსმა ცოლი დაკარგა და ისე მწარედ დასტიროდა, მისი მწუხარების მელოდიამ მიწა აავსო. ბუნებაც ტიროდა მასთან ერთად. მოღბა ღმერთების გული და მათ მარადისობის კარი გააღეს, რათა ორფეოსი სულებში საყვარელ მეუღლეს შეხვედროდა.

კიდევ ჰყვებიან, თითქოს ალქაჯებმა მოკლეს ორფეოსი. მისი თავი და ბარბითი კი ზღვაში გადააგდეს. ასე იტივტივეს წყალზე, სანამ არ მიაღვნენ კუნძულს, რომელსაც ბერძნებმა *სიმღერების კუნძული* შეარქვეს.

ამბობენ ასევე, რომ ტალღებში, რომლებმაც ორფეოსის თავი და მისი ბარბითი წაიღეს, დღემდე ისმის ტირილისა და სევდიანი სიმღერის ხმა, ჰაერს მწუხარებით რომ ავსებენ. ეს ხმა მეზღვაურებსაც ესმით.

მას შემდეგ, რაც ამ ხალხების დიდების მზე ჩაესვენა, მათ თქმულებებს ზღაპრები დავარქვით – ოცნებები, რომელთაც წარმოსახვა ასაზრდოებდა. თუმცა ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, თუ რა ღრმა გავლენა ჰქონდა მუსიკას ბერძნებსა და რომაელებში. არ შევცდებით, თუ ამ გადმოცემებს ვუწოდებთ პოეტურ ჰიპერბოლიზებას, რომლის წყარო გრძნობების სინატიფე და სილამაზის სიყვარულია. და განა ეს არ არის პოეზია პოეტებისთვის?

ასურელთა ჩვენამდე მოღწეულ გამოსახულებებში სამეფო მსველელობებს წინ მუსიკოსები მიუძღვიან. ასურელი ისტორიკოსები კი გადმოგვცემენ, რომ მუსიკა დღესასწაულებზე დიდების სიმბოლო და ბედნიერების გამოხატულება იყო. ბედნიერება და კეთილდღეობა მუსიკის გარეშე იმ ქალწულის თხრობას ჰგავს, ენა რომ ამოაჭრეს. მუსიკა დედამიწის ყველა ხალხის საერთო ენაა, რომელიც სხვადასხვა ხალხის ღვთაებებს ჰიმნებსა და სიმღერებში ასხამს ხოტბას. ჰიმნები საყდრებში აღვლენილ ღოცვას ჰგავს და ძლევა მოსილი ღმერთებისთვის შეწირულ ძღვენს. წმინდა მსხვერპლი სულის სიღრმიდან მოდის, ღოცვები გულში იხვეწება გრძნობების თრთოლვით. თავისუფალ სულებს არ სჭირდებათ რთული ფრაზებითა და ოხვრა-ხვნეშით შემოსვა. მეფე დაავითის ჰიმნებს კეთილხმოვანება მისმა სინანულმა შეჰმატა. დაავითის ფსალმუნებმა მთელი პალესტინა მოიცვა. მისმა ურვა-ნაღველმა საოცარი მელოდიები შვა, რომლის სათავე სინანული და სულიერი ჭმუნვა იყო. დაავითს საღამური აკავშირებდა ღმერთთან, რომელსაც ის ცოდვების მიტევებას სთხოვდა. მისი ბარბითის ჟღერა მონანული გულიდან გამოდიოდა და თითებიდან ჩამოედინებოდა სისხლის წვეთებთან ერთად. ამ თითების შრომის დიდებული შედეგი კი აღიარა როგორც ხალხმა, ისე ღმერთმა. დაავითი ამბობდა: „აქედით უფალსა, აქედით მას ხმითა ნესტვისათა, აქედით მას ფსალმუნითა და ებნითა, აქედით მას ბობღნითა და მწყობრითა, აქედით მას ძნობითა და ორღანოთა, აქედით მას წინწილითა კეთილხმითა, აქედით მას წინწილითა დაღადებისათა, ყოველი სული აქედით უფალსა.“

წმინდა წიგნებში ნათქვამია, რომ საშინელი სამსჯავროს დროს ანგელოზები ჩამოვლენ ზეციდან და მსოფლიოს ყველა კუთხეში ჩაჰბერავენ საყვირებს. ეს ხმა გამოადვილებს სულებს, ისინი შეიმოსავენ სხეულებს და წარსდგებიან სამსჯავროს წინაშე. თვით წმინდა წერილის დამწერმაც განადიდა მუსიკა, რაკი ის ადამიანის სულებთან მოციქულად დაადგინა. და რა არის უზენაესის ამონათქვამი, თუ არა მისივე განცდების გამოხატულება – სიტყვები, რომელიც თანამედროვეთა დასაწრმუნებლად აარჩია.

მოწაფეებმა ხოტბა შეასხეს იესოს, სანამ ის გეთსიმანიის ბაღში შევიდოდა, ბაღში, სადაც დაიჭირეს მასწავლებელი. ახლაც ჩამესმის ამ ხოტბის მუსიკა, სევდიანი სულებიდან ამოხეთქილი. ვხედავ, რა ემართება მშვიდობის მოციქულს და მწუხრებას მგერის ნაღვლიანი მელოდია, გამოსამშვიდობებელი სიტყვები რომ შეცვალა.

მუსიკა წინ უძღვის ომში მიმავალ მეომრებს, ბრძოლის ჟინს უღვივებს და აძლიერებს მათ. მაგნიტივით იზიდავს ცალკეულ დაჯგუფებებს და აერთიანებს. პოეტები კი არ უდგანან სათავეში ბრძოლის ველზე, სიკვდილის სამშობლოში მიმავალ მებრძოლებს, – არა, არც მწიგნობრები მიუძღვიან ბუმბულებითა და წიგნებით. მეომრებს სათავეში უდგას მუსიკა, რომელიც, როგორც დიდებული წინამძღოლი, უჩვეულო ძალას სძენს მათ დაუძღვრებულ სხეულებს, გულებში კი გამარჯვების სურვილს უღვივებს. მებრძოლები ამარცხებენ შიმშილს, წყურვილს, დაღლილობას სიარულისგან, და რაც ძალი და ღონე აქვთ, თავს იცავენ. მუსიკას სიხარულით მისდევენ და საძაგელ მტერს ხოცავენ. ამგვარად ადამიანები ამქვეყნად ყველაზე წმინდას ზიანის მისაყენებლად იყენებენ.

მუსიკა მარტოობაში მწყემსის მეგობარია. როდესაც კლდეზე, ფარასთან ჩამომჯდარი მწყემსი საღამურზე ცხოველებისთვის ნაცნობ მელოდიებს უკრავს, ისინი უსაფრთხოდ გრძნობენ თავს და ბალახს ძოვენ. საღამური მწყემსისთვის ძვირფასი მეგობარია, სანუკვარი თანამოსაუბრეა, რომელიც სულ მასთანაა. ის სახეს უცვლის დაბლობზე გამეფებულ საშინელ სიჩუმეს, გაგრძელებული მელოდიებით არბილებს მის თავდაპირველ ველურობას, ჰაერს კი სიხარულითა და მხიარულებით ავსებს.

ქარავანებსაც წინ უძღვის მუსიკა. დაღლილობას ამცირებს, გაგრძელებულ გზას ამოკლებს. უდაბნოში აქლემები მაშინ განაგრძობენ გზას, როცა მარეკის ხმა ესმით. ვერ გრძნობენ სიმძიმეს, როცა მათ ყელზე ჩამოკიდებული ზარები უღარუნობენ. ყველამ იცის, რომ დღესაც კი ღამაში მელოდიებითა და ბგერებით ათვინიერებენ მხეცებს.

მუსიკა თან ახლავს ჩვენი სულის მოძრაობას. ჩვენთან ერთად გადის ცხოვრების გზას, არც სიხარულში გვშორდება და არც მწუხარებაში, ჩვენთან ერთად იზიარებს სასიამოვნო და ნაღვლიან დღეებს. ის არის ჩვენი ბედნიერებისა თუ მწუხარების წუთების მოწმე.

როდესაც იდუმალი სამყაროდან სააქაოში ბავშვი შემოდის, ბებიქალი და ნათესავეები მას მხიარული სიმღერებით ეგებებიან. ბავშვი ყვირის, ტირის, გარშემო კი ყველა სადღესასწაულო ჰანგებითა და მხიარული შეძახილებით ესალმება. თითქოს ცდილობენ, მუსიკის საშუალებით დროზე ადრე შეასწავლონ ღვთიური სიბრძნე.

როდესაც ჩვილი ტირის, დედა უახლოვდება და ნაზი, ალერსიანი სიმღერით აწყნარებს. ბავშვი დედის თანაგრძნობით სავსე იავნანათი მშვიდდება და იძინებს. დედის სიმღერაში დიდი ძალაა დავანებული, რაც შეიძლება ძილს გერის. ეს ჩუმი, ალერსით სავსე მუსიკა შიშს ფანტავს, დედის სუნთქვა კი მას განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს. დედა უნანავებს შეიძლს, სანამ ბავშვი უძილობას არ მოერევა, სანამ არ დაიძინებს და ტკბილ სიზმრებში არ გადაეშვება. ეს ხომ არ მოხდება, თუ დედა ციციერონის ენით დაელაპარაკება მას ან იბნ ალ-ფარიდს წაუკითხავს.

როცა მამაკაცი ცხოვრების თანამგზავრს ირჩევს და ორი სული უღელში ებმება, აღასრულებენ ანდერძს, რომელიც შემოქმედმა სამყაროს შექმნის დღიდან დაბეჭდა ადამიანთა გულებში. მაშინ იკრიბებიან ახლობლები და მეგობრები, მღერიან სიმღერებს, ჰიმნებს და მუსიკა ქორწინების მოწმე ხდება. ამ დღეს მუსიკა აღერსიანიცაა და მრისხანეც, სასიამოვნოც და სასტიკიც. ეს ხმა ღმერთს და მის ქმნილებებს აღიდებს. მისამღერი კი ჩათვლემილ სიცოცხლეს აფხიზლებს, რათა მან მიწაზე იაროს, დედამიწის პირი აავსოს.

როდესაც ცხოვრებისეული დრამის ბოლო აქტი – სიკვდილი დგება, სამგლოვიარო მუსიკა გვესმის. ვხედავთ, როგორ ჰფენს ის სივრცეს მწუხარე აჩრდილებს. მაშინ, როცა სული ამქვეყნიური, მშვენიერი სამყაროს ნაპირს ემშვიდობება, მარადისობის ზღვაში ეშვება და ხრწნად სხეულს მგლოვიარეთა ხელებში ტოვებს, ჭირისუფალნი ნაღვლიანი მელოდიების ფონზე ოხრავენ და დარჩენილ ნაწილს მიწას აბარებენ სიმღერის თანხლებით. სიმღერა სავსეა ტკივილით, სევდითა და ბედისწერაზე ჩივილით. ნეტავ, მისი ექო, გამოძახილი ადამიანში მანამ რჩებოდეს, სანამ გულს ეხსომება ის, ვინც წავიდა.

ღვთის რჩეულთან ვიჯექი – ადამიანთან, ვინც უფალმა არაჩვეულებრივი ხმით, სიმღერის ნიჭითა და რიტმის შეგრძნებით დააჯილდოვა. მის მახლობლად მსმენელები დავინახე. სუნთქვაშეკრულნი მუსიკას ყურს უგდებდნენ, სხვა ყველაფერი დავიწყებოდათ და მუსიკოსს გულისყურით მისჩერებოდნენ, როგორც პოეტები, რომელთაც შემოქმედებითი ძალა საოცარ საიდუმლოებებს უმხელს ხოლმე. ვერც კი მოასწრო მომღერალმა სიმღერის დასრულება, რომ გაისმა გულის სიღრმიდან ამომავალი აღტაცებული შეძახილები: „აჰ!.. აჰ!.. აჰ!..“ ეს იმიტომ, რომ მუსიკამ მიძინებული გრძნობები გააღვიძა. ასეთი აღტაცება ხომ მოგონებებით გაცოცხლებულ გულს აღმოხდება. „აჰ“ პატარა სიტყვაა, მაგრამ თითქოს ვრცელ საუბარს იტევს. მას ამბობს არა ის, ვინც მომღერალს უსმენს ან უყურებს, არამედ ის, ვინც სხვადასხვა შეძახილებისგან ერთიან ქსოვილს ქმნის. მუსიკოსები მსმენელის წინაშე გააცოცხლებენ წარსულს, ნაწყვეტს მისი ცხოვრების რომანიდან, ან მასშივე დაბუდებულ საიდუმლოს გადაუშლიან.

რამდენჯერ დაგკვირვებოვარ ყურადღებით მსმენელის სახეს და შემომჩნევია, როგორ იცვლება – ხან გახარებულია, ხან დაღონებული, მიყვება რა მელოდიის ცვალებადობას. ამ რეაქციების მიხედვით, გარეგნული გამოვლინებებით მისი დაფარული არსი, ხასიათიც კი შემიცვნიან.

მუსიკა პოეზიას, ფერწერას ჰგავს. ის ადამიანის სხვადასხვა მდგომარეობას ასახავს, გულის მოძრაობის სილუეტებს ხაზავს, სულიერ მიდრეკილებებს ააშკარავებს, ფორმას აძლევს აზრებს და სხეულის უმშვენიერეს სურვილებს აღწერს.

არაბულიდან თარგმნა
ნინო დოლიძემ